შაბათი, აგვისტოს 9 1919 წ. ფასი 1 მ. 50 კ. № 148

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი ქვეყანა

ყოველდღიური გაზეთი

**რედაქცია**

**საგაზეთო** მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

**რედაქცია ღიაა:** დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**კანტორა**

**გაზეთის ფასი;** ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 50 მან.

**კანტორა ღიაა:** დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

**მისამართი:** ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

შაბათს, 9 აგვისტოს საზაფხულო კლუბის დარბაზში გაიმართება **ეროვნულ დემოკრატიული პარტიის** და გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის ფონდის გასამლიერებლად

## დიდი საღამო-ბაზარი სეირნობით

1) **ინაშვილი** (საოპერო მომღერალი) სხვა და სხვა სიმღერები.
2) **თარხნიშვილის** ასულთა ხორო—ეროვნული სიმღერები.
3) **ნემო** და ვ. **ბალანჩივაძე**—„ვაი ვუი“.
4) **სტ. გვიჩია**—მეგრული სცენები.
5) **ლეკური** და **უზუნდარა** სცენაზე.
6) ქორწილი სოფლად—მაყრები, მაყრულით და სხვა.
7) ცოცხალი სურათი.
8) ლატარია—ალეგრით.
9) ამერიკული აუქციონი.
10) კიოსკები: შამპანიურით, ნაყინით, ყვავილებით. ფოსტა და სხვა მრავალი გასართობები.

იქნება საუკეთესოდ დამზადებული ვახშამი და ჩაი. დაუკრავს სამხედრო მუსიკა სიმებიანი მუსიკა და ზურნა

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ××× შესვლა 15 მან. მოწაფეებისათვის 5 მან. ××× საღამოს დიასახლისი ს. გაბარაშვილისა.

---

... „ჩხიაზე“ სასაფლაოს ეკლესიაში კვირას, 10 აგვისტოს (ახალი სტილით) გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებული მათთვის ძვირფასი და უსაყვარლესი სახალხო მასწავლებლის

### ეფროსინე | ნინა | ექვთიმეს ასული ჭარხალაშვილის

სულის მოსახსენებლად, რასაც ღრმა მწუხარებაში მყოფი: მშობლები ექვთიმე თედორეს ძე და სუსანა დავითის ასული; ძმები: მასწავლებელი დათიკო და სტუდენტი გალაქტიონი ჭარხალაშვილები და სიძე ბაგრატ და და ალექსანდრა ლომთაძეები, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ, ახნაგებს და მეგობრებს. წირვა დაიწყება 10 საათზე, პანაშვიდი კი 11-ზე.

1—1

---

კვირას 10 აგვისტოს (ახალი სტილით) ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოს ეკლესიაზედ გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულ

### კონსტანტინე თეოხარის ძის მკურნალის

სულის მოსახსენებლათ, რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთ, და მეგობრებს და ნაცნობებს მეუღლე მისი მარიამი, თავისი შვილებით და აგრეთვე იმავე დღეს იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი თავის სამშობლოს დაბა სუჩუნაში წმინდა გიორგის ეკლესიაში.

2—2

---

ქუთაისის ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობა მწუხარებით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ კვირას, 10 აგვისტოს, დილის 11 საათზე მთავარ ანგელოზის ეკლესიაში გადახდილ იქნება 40 დღის პანაშვიდი ქართული სცენის მსახიობის

### ლადო სარელის | ვლადიმერ ლაზარეს ძის სანიკიძის |

სულის მოსახსენებლათ.

---

... დოებას, რომ კვირას 10 აგვისტოს დილ. 11 საათზე მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება 40 დღის პანაშვიდი ქართული სცენის მსახიობის ამხანაგ

### ლადო სარელის

სულის მოსახსენებლათ.

---

### ჩხარის უ. დ. სასწავლებელში თავისუფალია

სამი ადგილი საზოგადო განათლების საგნების მასწავლებლისა. ცხოვრება ჩხარში თითქმის ორჯერ იაფია, ვიდრე თფილისში ან ქუთაისში და თან საუცხოვო ჰავა. თხოვნები უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: ჩხარი. უმაღლეს დაწყ. სასწ. გამგეს.

3—2

---

### მუშათა და ხელოსანთა კოოპერატივის საბჭოს წევრები,

ამით აცხადებს კოოპერატივის წევრების საყურადღებოდ რომ უკანასკნელი არა ჩვეულებრივი კრება დანიშნულია ამა აგვისტოს 9, დღით შაბათს საღამოს 5 საათზედ, გამგეს ჯამაგირის დასანიშვნად, და სხვა საქმეების კოოპერატივის გასარჩევად; კრების რამდენიმეს დასწრებით, კრება ჩაითვლება კანონიერად, რადგან მესამეთ არის მოწვეული.

---

ჭიათურის შავი ქვის მრეწველების აქციონერთა საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ 30 აგვისტოს 1919 წლისა, დღის 12 საათზე ჭიათურაში დანიშნულია

### აქციონერთა საზოგადო კრება.

განსახილველი საკითხებია: 1) მოხსენება საზოგადოების გამგეობისა მისი მოქმედების შესახებ და განხილვა საკითხებისა, რომელნიც მოხსენებიდან გამომდინარეობს;

2) მოხსენება საზოგადოების წესდების შეცვლისა და დამატების შესახებ.

და 3) ხარჯთაღრიცხვა 1919 წლისა.

3—1

---

### ექიმი ბოკერიას,

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავადმყოფოში სამშობიარო განყოფილებით ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავადმყოფების მიღებაც სწარმოებს.

---

### ექიმი ვ. ი. მაჭავარიანი.

იღებს სნებიო, ქალთა საშარდე მილის და ვენერიული სნეულებების ავადმყოფებს (სისხლში შეშხაპუნება 606 და 914) ყოველ დღე დილის 9—12 საათ. საღამოს 6—8 საათ.

მისამართი: რესპუბლიკის ქ. საკუთარი სახ. ფოსტის გვერდით.

24—1

## ბოლშევიზმის ლიკვიდაცია უნგრეთში.

უნგრეთიდან ბოლშევიკების მეთაური—ბელაკუნი ვენაში გაიქცა, სადაც ტყვედ გამოცხადებულ იქმნა.

და, როდესაც ბელაკუნის მთავრობა მემარჯვენე სოციალისტების მთავრობამ შესცვალა, ბუდაპეშტში რუმინიელთა ოცდაათი ათასი ჯარის-კაცი შევიდა.

იმავე დროს მოკავშირეები უნგრეთის დედაქალაქში 5.000 ჯარის-კაცს აგზავნიან, ალბად მისთვის, რომ რუმინიელების ბატონობას ხელი შეუშალონ.

ამგვარად ბოლშევიზმის ლიკვიდაცია უკვე დაბოლოვდა.

ახალმა მთავრობამ უპირველესად ჩამორთმეული სახლები ძველ პატრონებსვე დაუბრუნა.

დღეის იქით კი უნგრეთის ბედი—საერთაშორისო კონფერენციაზეა დამოკიდებული.

აღსანიშნავია ბელაკუნის უკანასკნელი სიტყვა: ბოლშევიზმის კრიზისი იმის შედეგია, ბურჟუები და აფიცრები რომ არ გავსწყვიტეთო, და წარმოება მიტომ შეწყდა, რომ ბურჟუაზიამ შეგვიშალა ხელიო!

რასაკვირველია, ეს მართალი არ არის.

უნგრეთის ბოლშევიზმმა ნათლად დაამტკიცა, რომ სოციალისტური, განსაზოგადოებული სახელმწიფოებრივი წარმოება—შეუძლებელია.

ამავეს მოწმობს რუსეთის მაგალითი, როგორც მოსკოვიდან მოსულები ამბობენ, რუსეთის ბოლშევიკები დღემდის ძველი ქონით ცხოვრობენ, თვითონ კი აღარაფერს აღარა ქმნიან.

დიაღ, სოციალიზმი უტოპიაა!

ყურადღილონ ეს ყველა ჯურის სოციალისტებმა!

**კვერი.**

## ქუთაისის ვაჭარ-ხელოსანთა კრება 6 აგვისტოს.

ამ კრებამ ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ჩვენს ვაჭრებსა და ხელოსნებს სრული მოქალაქობრივი შეგნება აქვსთ.

გამოუცდელ გადასახადთა ინსპექტორებს ნიკოლოზის დროს არჩეული ვაჭართა წარმომადგენლები მიუწვევიათ და მათი შემწეობით შეუწერიათ ვაჭრებისთვის გადასახადები დატრიალებული სავაჭრო კაპიტალის რაოდენობის მიხედვით.

ეს განაწილება, რასაკვირველია, მეტად უსამართლოდ მოუხდენიათ. თვით ეგრეთწოდებულ ვაჭართა წარმომადგენელთ თავის თავისთვის შეუსაბამოდ მცირე გადასახადები შეუწერიათ, სხვებისთვის კი შეუსაბამოდ დიდი.

ისეთი მაგალითებიც კია, რომ გადამხდელს იმდენი უნდა გადახდეს, რამდენადაც მთელი მისი ქონება არა ღირს!

ამიტომ კრებამ ერთხმად დაჰგმო ძველი წარმომადგენლები და აირჩია ახალნი, რომელთაც ვაჭართა საბჭოსთან ერთად უნდა იშუამდგომლონ ქალაქის თვითმართველობისა და მთავრობის წინაშე, რათა გადასახადების განაწილება ხელახლა იქნეს გადასინჯული და საგადასახადო პროცენტი წმინდა მოგებაზე დაკლებული.

უფრო კი ის არის აღსანიშნავი, რომ ვაჭრები სრული შეგნებით უწევდნენ ანგარიშს რესპუბლიკის ფინანსიურ კრიზისსა და ამბობდნენ: თუ რესპუბლიკისათვის აუცილებელი იქნება, არავითარ ქონებრივ სხვერპლს არ მოვერიდებითო.

იმავე დროს სამართლიანადვე დასძენდნენ: გადასახადების გაწერა იმ წესით უნდა წარმოებდეს, რომ ვაჭარსა და მრეწველს წარმოებაზე გული არ აუცრუვდეს და ვაჭრობა-მრეწველობა არ დაეცესო.

და—ეს დამახასიათებელია—ვაჭრები ჰგმობდნენ, კიცხავდნენ იმ ვაჭრებს, რომელთაც სამშობლო ფეხებზე ჰკიდიათ და კაპიტალი უცხოეთში გადააქვთ!

ეს—კეთილშობილი პატრიოტიზმი, მამულიშვილობაა!

დასასრულ კრებამ სასტიკი განაჩენი გამოიტანა უპატენტოდ, ჩუმად, მოვაჭრეთა წინააღმდეგ.

უკანასკნელნი ქურდულად ვაჭრობენ, დაძრწიან, კონსტანტინოპოლიდან სავაჭრო შემოაქვსთ და ბათუმშივე ჰყიდიან უცხოელებზე!

ამბობდნენ: სამშობლოს დამოუკიდებლობას მოვესწარით და მაშასადამე რესპუბლიკის მოღალატეებთან მორიდება ცოდვაა: ქურდები, მოღალატეები, დეზერტირები და სხ. უნდა გავსცეთო. სპეკულიანტებთან ბრძოლაკი კი მით უფრო საჭიროა, ეს საშინელი სიძვირე—მათ მიერ წარმოებული სპეკულიაციის შედეგიაო და სხ.

მოქალაქობრივი შეგნება და სამშობლოსადმი მოვალეობის გრძნობა—აი რა ახასიათებდა თვითეული ორატორის სიტყვას.

**ვასილ წერეთელი.**

## ფრანგული პრესა

(საქ. დეპ. სააგენტო)

ოთხშაბათს ავსტრიის დელეგაცია გადასცემს წერილობით განცხადებას; იმავე დღეს საღამოთი რენნერე ვენაში წავა. მის დაბრუნებამდე დელეგაციის მეთაურობად ეიხჰდრნი და შულერი იქნება.

## ინგლისური პრესა

(საქ. დეპ. სააგენტო)

მაინციდან იუწყებიან, რომ პუანკარე აგვისტოს 18 ელზას-ლოთრენში მიემგზავრება და ზოგიერთ იქაურ ქალაქს საპატიო ლეგიონის ორდენს გადასცემს.

ბელაკუნის გადადგომის და უნგრეთში ახალი უმეტეს ნაწილად კონსერვატორ სოციალისტებისაგან შემდგარ, მთავრობის ხელში—ძალა-უფლების გადასვლის შემდეგ საზავო კონფერენციისთვის შედარებით მშვიდობიანი დრო დადგა. საზავო კონფერენციას მხოლოდ იმის ეშინიათ, რომ რუმინელებმა შეტევა არ განაგრძონ, ახალი სიძნელე შეიქმნება. გუშინ საზავო კონფერენციამ განკარგულება გასცა, რომ რუმინელებს შეტევა შეეწყვიტნათ, მაგრამ დეპეშა ან არ მისულა ან და სტრატეგიულ და სხვა მოსაზრებით რუმინელებმა განკარგულება არ შეასრულეს.

საზავო კონფერენციამ უნგრეთში შექმნილ მდგომარეობაზე იმსჯელა.

ვენიდან მოსული დეპეშები გადმოგვცემენ, რომ რუმინეთის ჯარი ბუდაპეშტის მიდამოებში იმყოფება.

უნგრეთში მდგომარეობას უფრო ართულებს ის გარემოება, რომ ჩრდილოეთიდან წინ მოიწევს ეროვნული არმია, რომელიც უნგრეთის წინანდელ კონსერვატიულ პარტიის ნაშთებია და ბელაკუნის წინააღმდეგ იბრძოდა აქამდე. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ახალ მთავრობას არ შეუძლია მხოლოდ საკუთარ ჯარზე დაყრდნობა, რუმინელების უნგრეთში შესვლა და ეროვნულ არმიის ჩრდილოეთიდან წინსვლა პარიზში შიშს იწვევს. დღეს ცნობა მოვიდა, რომ ახალი მთავრობა მიუხედავად თავისი სოციალისტურ შემადგენლობისა ბურჟუაზიას და გლეხებს ავანსებს აძლევს. თუ ახალი მთავრობა გამტკიცდა, კონფერენცია დაუბრუნდება უნგრეთის ხელშეკრულების პირობათა განხილვას. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ახალი მთავრობა საბოლოო არ იქნება, რადგან ის სოციალისტ მუშებისაგან შესდგება მაშინ როდესაც საჭიროა მუშათა, გლეხთა და საშუალო კლასის წარმომადგენელთაგან შემდგარი კოალიციონური მთავრობა. სამწუხაროა აგრეთვე ისიც, რომ მთავრობაში შედიან ისეთი პირები, რომელსაც ბოლშევიკურ მოძრაობაში წილი ედოთ.

## გერმანული პრესა

(საქ. დეპ. სააგენტო)

პეკინიდან იუწყებიან, რომ ჩინეთის პარლამენტმა შეიწყნარა წინადადება გერმანიასთან მშვიდობიან ურთიერთობის განახლების შესახებ, რასაც გერმანული პრესა იმით ხსნის, რომ ჩინეთი ხავს ხელს არ აწერს შანდუნის შესახებ იაპონიასთან მომხდარ ურთიერთობის გამო.

ლიუცერნში რამზაი მაკდონალდმა სიტყვა წარმოსთქვა. კონფერენციის მიზნების შესახებ მან აღნიშნა ბერნში შექმნილ ორგანიზაციის ზრდა, პროგრამის შემუშავება, სოციალისტურ მთავრობისთვის მხარის დაჭერა, სოციალურ საკითხების განხილვა, გლეხების განათლება, მუშების გაერთიანება, რუსეთისადმი საერთო პოლიტიკის წარმოება და კაპიტალიზმის და მილიტარიზმის გავლენის მოსპობა.

## მთავრობის წრეებში.

მთავრობამ დაადგინა:

გაგრის კლიმატიურ სადგურის პირად შემადგენლობის ჯამაგირების ნორმის გადიდების პროექტი მიღებულ იქმნას მთავრობის მიერ და გადაეცა დამფუძნებელ კრებას დასამტკიცებლად.

—

იმ პირთ, რომელთაც იურიდიული ფაკულტეტი დაასრულეს, მაგრამ დიპლომი არ მიუღიათ,—მიეცეს უფლება 6 თვემდე უჯამაგიროთ სამსახურის შემდეგ ჩააბარონ გამოცდები სასამართლოს კანდიდატების უფლების მისაღებად.

—

ნაფიც ვექილთა შუამდგომლობა სასამართლოს პირველ ინსტანციაში რუსულ ენაზე გაწეულ საქმეთა წარმოებას ამავე ენაზე განაგრძოს შესახებ თუ ამას მოითხოვს მომჩივანი ან მოპასუხე, უარყოფილ იქნეს.

—

იმ შეკითხვაზე, თუ ვისზე ვრცელდება მთავრობის მიმდინარე წლის მარტის 11-ის დადგენილება სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემის შესახებ, მთავრობამ დაადგინა: ეს ჯილდო ვრცელდება იმ მოსამსახურეებზე, რომელნიც დათხოვნილ იყვნენ...

## ვილჰელმის ბედი

რეიტერს აუწყებენ, რომ ჰოლანდიას ვილჰელმის გაცემას მოსთხოვს 22—23 ქვეყნის წარმომადგენელნი.

პარლამენტის წრეებში დიდი მითქმა-მოთმა გამოიწვია პრემიერის განცხადებამ. ვილჰელმს გაასამართლებს ბრიტანელი, ფრანგი, იტალიელი და ამერიკელი მსაჯულნი.

## საბერძნეთის საგანგებო მისსია თბილისში.

გუშინ 7 აგვისტოს, დილის 7 ნახ. საათზედ თბილისში ჩამოვიდა საბერძნეთის საგანგებო მისსია დოქტორ სტოკრადაკისის მეთაურობით.

სადგურზე მისიას შეეგებენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორის ბ-ნ მ. ლორთქიფანიძის მეთაურობით, რომელიც მიესალმა მისიას საქართველოს მთავრობის სახელით. მისსიას შეეგებენ და მიესალმენ აგრეთვე, თბილისის ბერძენთა კოლონიის წარმომადგენლები, რომელთა აღნიშნეს, რომ საქართველოს მთავრობა მათ ყოველთვის მზრუნველობით ეპყრობოდა და საქართველოში ბერძნები ისე გრძნობდენ, როგორც მეორე სამშობლოში.

საბერძნეთის მისიის მეთაურმა, თავის საპასუხო სიტყვაში, მადლობა გადაუხადა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს იმ გულწრფელი და თბილი მიღებისათვის, რომელიც მათ იგრძნეს საქართველოს ტერიტორიაზედ შემოსვლით და სრული იმედი გამოსთქვეს, რომ საქართველოსა და საბერძნეთს შორის მუდმივ იქნება ის მეგობრული კავშირი, რომელიც ძველადვე ყოფილა.

## ქართველები დენიკინის სამეფოში

ქართველების მობილიზაციის შესახებ „უტრო იუგა“ [illegible] 25-ის [illegible] იუწყება:

ამიერ-კავკასიის მკვიდრი ქართველები, რომლებიც 1914 წლამდე სცხოვრობდნენ სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა სამფლობელოში ჩაითვლებიან მკვიდრ მცხოვრებლებად და საერთო კანონის მიხედვით გაიწვევიან ჯარში.

ის ქართველნი კი რომელნიც ითვლებიან ამიერ-კავკასიის მკვიდრად და გადმოსახლდნენ იქიდან არა უადრეს 1914 წლისა, სამხედრო ბეგრიდან თავისუფლდებიან.

ქართველთ, რომელნიც განთავისუფლების მოწმობებს მიიღებენ, ნება ეძლევათ იცხოვრონ სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა როგორც მთელ სამფლობელოში, ისე კერძოდ ჩრდილო კავკასიაში.

## უკანასკნელი ცნობა.

**მოხალისეთა ტყუილი.**

6 აგვისტოს ბაქოს გაზეთ „როსია“-ში დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური ცნობა თერგ-დაღესტნის და ასტრახანის მხარეთა ჯარების სარდლობის შტაბისა 29 ივლისი, 1919 წელი. ჩრდილო კავკასია.

მამისონის უღელტეხილზე (სამხედრო ოსეთის გზა) გაჩნდენ ქართული ნაწილები რიცხვით 3 როტა და დაახევინეს ჩვენ „ზასტავას“. ქართველების შემდეგ წინ წამოწევის ლიკვიდაციისათვის ზომები მიღებულია.

თითონ დენიკინელებმა დაიწყეს შემოტევა ოსთა ბანდების თუ გაწვრთვნილი ჯარების საშუალებით მამისონზე და როცა ჩვენმა ჯარმა და გვარდიამ ისინი დაამარცხა და გარეკა, ახლა სწერენ—ქართველები დაგვესხნ თავს და ზომები მივიღეთ იმათ მოსაგერებლათო.

ვის ატყუებენ მოხალისენი?!

## ახალი ამბავი

**ქ უ თ ა ი ს ი.**

**სალამო-კაბარე.** დღეს, 9 აგვისტოს საზაფხულო საკრებულოს ბინაზე გაიმართება სალამო-კაბარე სეირნობით საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის და გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ სასარგებლოდ. სალამოში მონაწილეობას მიიღებენ: 1) ცნობილი მომღერალი ინაშვილი, 2) თარხნიშვილის ასულთა ხორო, 3) შესრულებული იქნება კუპლეტები „ვაი ფუის“ ხმაზე ნემოსა და ვ. ბალანჩივაძის მონაწილეობით და სხვა. საღამოზე დაუკრავს სამხედრო მუსიკა, სიმებიანი ორკესტრი და ზურნა. საღამოს დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

✦ **დამფუძნებელი კრების დამატებითი არჩევნები.** ხვალ 10 აგვისტოს საქართველოს ზოგიერთ ადგილებში დაიწყება დამფუძნებელი კრების არჩევნები არჩევნები ცახტანს 3 დღეს.

✦ **სამ. ყიფიანის ავადმყოფობა.** როგორც სოფელ ხორჩანიდან (მანდიკორის საზოგადოება) გვატყობინებენ ჩვენი თანამშრომელ მასწავლებელი ქუთაისის მეორე გიმნაზიისა, რომელიც დასასვენებლად არის წასული, მძიმე ავად იმყოფება.

✦ **გერმანულ მასწავლებელთა ყრილობა.** ეკატერინოფელდში გაიხსნა ამიერკავკასიის გერმანელთა ახალშენების სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია.

✦ **სომხეთისი დიქტატორი.** ამ დღეებში სტამბოლიდან თბილისში ჩამოვა და სომხეთს გაემგზავრება ამერიკელი პოლკოვნიკი ვილიამ ჰესკელი, რომელიც პარიზის კონფერენციამ სომხეთის დიქტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორად დანიშნა და ფართე რწმუნება მიანიჭა.

✦ **დენიკინის ხარდლები საქართველოს შესახებ.** როგორც ნოვოროსიიდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს დენიკინის „სამეფოში“ საქართველოს ზიზღით უცქერენ. განსაკუთრებით სამხედრო პირები პოლკოვნიკები და გენერლები. ერთ პოლკოვნიკს სხვათა შორის უთქვამს, რომ საქართველოს ერთი ხელის მოსმით მოვსრავო.

✦ **სამოსწავლო წლის დაწყება.** რადგანაც ამ ჟამად საშუალო სასწავლებლების რეორგანიზაცია სწარმოებს, წელს სამოსწავლო წელი 1 სექტემბერს ვერ დაიწყება.

✦ **ქართული სადერბო მარკები.** თანახმად ფინანსთა მინისტრის განკარგულებისა, ამ თვის თუთხმეტი რიცხვიდგან რესპუბლიკის ფარგლებში გაბათილებულათ ითვლებიან რუსეთის სადერბო მარკები და იმავე რიცხვიდგან მიღებული უნდა იქნეს სახმარებლად ახლად დამზადებული ქართული სადერბო მარკები.

თუთხმეტი აგვისტოდგან ყოველგვარი ქაღალდების და საბუთების სადერბო ხარჯი გადახდილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართული მარკებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ ასეთ ქაღალდებს და საბუთებზე სრულიად არ არის გადახდილი სადერბო ხარჯი და იმ პირებს, რომლებისგანაც არის მიცემული ან რომლებიც მიიღებენ ასეთ ქაღალდებს და საბუთებს, გადახდებათ ჯირიმა სადერბო წესდების თანახმად.

✦ **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის მე-144 ნუმერში ბ. ალ. გარსევანიშვილის წერილში „საქმე დავაჩქაროთ“ შემდეგი კორექტ. შეცდომაა გაპარული: „[illegible]“, უნდა იყოს: „ხნაზით“, „[illegible]ანდომს“ უნდა იყოს: „**მიაწოდებს**“, „ეროვნული თაობის“ უნდა იყოს: „**ეროვნული თანხის**“ და სხვა.

✦ **გვთხოვენ გამოვაცხადოთ:** დაიკარგა საფუძლე მოწმობებით: მუსიკალურ სასწავლებლიდან, ქართული გიმნაზიიდან, მე-2 სავაჟო გიმნაზიის საკრავი ინსტრუმენტების შესაკრები რწმუნება და სხვ. ქაღალდები. შალვა ლეკვიაშვილის სახელზე. მპოვნელს ვთხოვთ მოიტანონ „ჩვ. ქვეყნის“ რედაქციაში ნიკანტრი ასათიანთან, ან საზოგადო საკრებულოში, სიმფონიურ ორკესტრის, დამკვრელს შ. ლეკვიაშვილთან.

✦ ცნობილი კომერსანტი დავით ქებაძე უკვე დაბრუნდა კონსტანტინეპოლიდან, საიდანაც ჩამოუტანია აუარებელი მანუფაქტურა სოდა (კაუსტიკ) და სხვა. ბ-ნ ქებაძეს აზრად აქვს მთელი საქონელი კოოპერატივებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს გადასცეს; ამისთვის საჭირო იქნება ორგანიზაციებმა მას სასწრაფოთ შეატყობინონ თავისი მოთხოვნილება.

✦ **სომხეთის დიქტატორი.** ამ დღეებში სტამბოლიდან ტფილისში ჩამოვიდა და სომხეთს გაემგზავრება ამერიკელი პოლკოვნიკი ვილლიამ ჰასკელი რომელიც პარიზის კონფერენციამ სომხეთის დიქტატორად დანიშნა და ფართო რწმუნებანი მიანიჭა.

✦ **სასწავლებლების რეორგანიზაცია.** ამ ჟამად ქუთაისში სწარმოებს საშუალო სასწავლებლების რეორგანიზაცია. როგორც გადმოგვცეს სასწავლებელთა რიცხვი შემოკლებული იქნება.

# გაეშურეთ საღამოზე.

დღეს, საზაფხულო საკრებულოში გაზ. „ჩვენი ქვეყნის“ და ეროვნულ დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის სასარგებლოდ საღამო—სეირნობა იმართება.

პარტიული ცხოვრება დღეს დღეობით ფინანსიური მხრით კრიზისს განიცდის.

უფრო უკიდურეს მდგომარეობაში არის გაზეთის გამოცემის საკითხი.

ყოველდღიურად სიძვირის გაღრმავება და მუშა ხელის გაათკეცებული მოთხოვნილება ბეჭდვითი ყოველივე გამოცემას სიკვდილს უქადის.

გაზეთის გამოცემა პოლიტიკური პარტიისათვის თუ ამ პარტიას თავისი სახის შენარჩუნება სურს, აუცილებელია.

დღეს ფინანსიური მხრით განსაკუთრებულ კრიტიკულ მდგომარეობას ჩვენი პარტია განიცდის.

ჩვენში არსებულ პარტიებს აქვთ სხვა და სხვა შემოსავალი რასაც ჩვენ მოკლებული ვართ.

საწევრო გადასახადი, თვიური შემოსავლიდან ერთდღიური გადასახადი, შემოწირულებანი, ათასგვარი ფონდები და სხვა დღემდის ჩვენ ვერ მოვაწყვეთ რომ ამით პარტიაც გაღონიერდეს და გაზეთის გამოცემის საქმეც გაადვილდეს. ეს შეიძლება ჩვენ სისუსტეთ ჩაგვეთვალოს, მაგრამ ამასთანავე გაურბივართ პარტიული წევრების შევიწროებას, რომელნიც ასეთი გადასახადებისაგან უსათუოთ იგრძნობენ შევიწროებას.

მეორე მხრით უამისოთ კრიტიკულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. როგორც ვსთქვით როგორც პარტია ისე გაზეთი უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება და თუ პარტიულ წევრებმა და ჩვენი გაზეთის მკითხველებმა ფინანსიური დახმარება არ აღმოგვიჩინეს გაზეთს დახურვა მოელის.

ასეთი მდგომარეობა თავიდან რომ ავიცილოთ ჩვენი პარტიის და გაზეთის სასარგებლოდ დღეს საზაფხულო საკრებულოში საღამო-სეირნობა იმართება.

ჩვენ აქ არ შევუდგებით თუ როგორი შინაარსის იქნება საღამო, ეს წერილის საგანს არ შეიცავს, მაგრამ მოვუწოდებთ მოქალაქეთ, რომ გაეშურონ ამ საღამოზე, ყველამ მოიხადოს თავისი მოვალეობა: და თავისი წვლილი შეიტანონ როგორც ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ისე გაზეთის გამოცემის საქმეში.

ვინც ჩვენ თანაგვიგრძნობს და ქუთაისში იმყოფება დღეს საღამოს სახლში არავინ არ უნდა დარჩეს. ყველამ საზაფხულო საკრებულოში უნდა მოიყაროს თავმ.

ყველას უნდა ახსოვდეს თუ რა დანიშნულება აქვს დღევანდელ საღამოს საზაფხულო საკრებულოში რომ იმართება.

დიდი ხანია ჩვენს პარტიას ასეთი საღამო არ გაუმართავს, დიდი ხანია საზოგადოება არ შეუწუხებია და დღეს სრული იმედი გვაქვს, რომ საზაფხულო საკრებულო პატივცემული საზოგადოებით აივსება.

მაშ გახსოვდესთ მოქალაქენო!..

ერთი დღის შემოსავალი ყველამ გადადევით პარტიისა და გაზეთის სასარგებლოთ.

გაეშურეთ საზაფხულო საკრებულოსაკენ.

იქ დღეს იმართება დიდი საღამო—სეირნობა.

# ოდესა.

ოდესის მახლობლად გრიგორიევსა და საბჭოთა მთავრობის ჯარებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა. გრიგორიევის ჯარებს ეხმარებიან გლეხთა რაზმები. მრავალი კომისარი ჩრდილოეთისაკენ გაიქცა და თან გაიტაცა ბანკებიდან და ბურჟუაზიაზე კონტრიბუციის სახით [illegible] ფული. მკათათვის პირველ რიცხვებში ამბოხებულები რამოდენიმეჯერ მიუახლოვდნენ ოდესის სანახებს, რომლის გამო გავრცელდა ხმები ოდესის აღების შესახებ.

ბოლშევიკები მეტად თავგამოდებით იბრძვიან თეთრების წინააღმდეგ.

### სახალხო განათლების სამინისტროში

**მუსულმანთა სკოლების ინსპექტორი.**

სახალხო განათლების სამინისტროს და ბალ სკოლათა მთავარ-გამგის ბრძანებით, რესპუბლიკის მუსულმანთა სახალხო სკოლების ინსპექტორად დაინიშნა-მუსულმან აზოგადოებაში ცნობილი მასწავლებელი-ბ. ალი ზადე. ბ. ალი ზადე უკვე შეუდგა რესპუბლიკის მუსულმან სკოლათა საქმეებისა და ქონებათა ჩაბარებას და თავისი თანამდებობის ასრულებას.

**ფიზიკურ ობსერვატორიის ახალი დირექტორი.**

როგორც გადმოგვცემენ, თბილისის ფიზიკურ ობსერვატორიის დირექტორად განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს მოიწვიოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი—ბ. ბენაშვილი.

**საშუალო სასწავლებელთა რეორგანიზაცია.**

მომავალ სამოსწავლო წლიდან როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, სახალხო განათლების სამინისტროს განზრახული აქვს გიმნაზიის პირველი ოთხი კლასი გამოჰყოს და ცალკე პროგიმნაზიები დააარსოს. ამ მხრივ სამინისტროში ფიცხელი მუშაობა სწარმოებს მრავალი კომისიებისა.

სხვათა შორის განზრახულია ზოგიერთი არსებული გიმნაზიების სრულიად გაუქმება. მაგალითად მეექვსე ვაჟთა გიმნაზია სრულიად გაუქმებული იქნება და მოწაფენი გადაყვანილი იქნებიან მეოთხე ვაჟთა გიმნაზიაში. გაუქმებული იქნება აგრეთვე ზოგიერთი ქალთა გიმნაზიები.

**საყოველთაო სწავლა.**

პირველ დაწყებითი უფასო და სავალდებულო სწავლის შემოღების საკითხის განხორციელებისათვის ფიცხელი მუშაობა სწარმოებს სახალხო განათლების სამინისტროში. განზრახულია მომავალ სასწავლო წლიდან შემოღებულ იქმნას საყოველთაო სწავლა.

# ატ. გრიგორიევი და რუმინეთის მოლაპარაკება.

ეკატერინოსლავიდან მკათათვის 20 თარიღით იუწყებიან: ყირიმიდან საბჭოთა ჯარის დახევამ მეტად ცუდ მდგომარეობაში ჩააყენა ატ. გრიგორიევი. ნიკოლ—ალექსანდრიიდან, სადაც მან შეადგინა რამდენიმე პოლკი და სერდიუკის დივიზია, იგი ბოლშევიკებმა განდევნეს.

საბჭოთა ჯარის ოდესიდან ხერსონში წასვლამ გრიგორიევის მდგომარეობა კვლავ გამოაკეთა. მან ახლა დნესტრამდისაც მიაღწია, სადაც მოლაპარაკება დაიწყო რუმინეთის ჯარის სარდლობასთან, ოდესაზე შეერთებულ შეტევის მოსაწყობად.

# განხეთქილება ბერლინის მუშათა დეპუტ. საბჭოში.

„ჰუმანიტე“ „მკათათვის 19 იუწყება, რომ მუშათა საბჭოში მომხდარმა კონფლიქტმა მეტად რთული ხასიათი მიიღო. შეუმრავლესმა სოციალისტებმა და დემოკრატებმა გადასწყვიტეს საბჭო დასტოვონ. საბჭოთა დატოვების გამო მათ შემდეგი დადგენილება მიიღეს: „დემოკრატიულ არჩევნებით მოწვეულ პარლამენტის დაარსების შემდგომ პოლიტიკური კომპეტენცია მუშათა საბჭოსი უნდა მას გადასცემოდა.

აღმასრულებელ კომიტეტმა (არ ჰქონდა უფლება თუ არ უნდოდა), მაინც ვერ შესძლო, რომ მუშათა საბჭო დემაგოგიისაგან განეშორებინა.

ყრილობისა და აღმასრულებელ კომიტეტის მუშაობა სრულიად უფერულად მიმდინარეობს.

მათ, მიუხედავად დიდი ცდისა ვერ შესძლეს ეკონომიური ცხოვრების აღდგენა. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ იმ შპიონაჟის წინააღმდეგ, რომელმაც შეზღუდა სისხლით მოპოვებული პრესის თავისუფლება.

ასეთს პირობებში ჩვენი მუშაობა [illegible] გვიძლია და თავს ვანებებთ [illegible]ბებს და აღმასრულებელ კომიტეტში მუშაობას.

### მთავარ მომარაგების სამმართველოში

**სურსათის და საქონლის განაწილება**

საქართველოს რესპუბლიკის მთავარ მომარაგების სამმართველოს მთავარ რწმუნებული ბ-ნი ქარცივაძე ამ ჟამად იმუშავებს გეგმას მიღებულ საქონლის შესახებ მცხოვრებთა ფართე წრეებისათვის და უმთავრესად სოფლელთა შორის, რაც მისცემს საშუალებას სოფელს მოაწოდოს ქალაქს საჭირო სანოვაგე.

**ჩაის შეძენა.**

მთავარ მომარაგების სამმართველომ უკვე შეიძინა ბათომში უმაღლეს ღირსების ცეილონის ჩაი 1000 ფუთი. სამმართველომ უკვე გაგზავნა თავისი ექსპერტები ბათომში. ჩაი შეძენილია ძლიერ იაფ ფასებში ფუთი 450 მანეთათ.

**სესხი თამბაქოსათვის.**

მთავარ მომარაგების სამმართველომ გადასწყვიტა მისცეს სოხუმის პლანტატორთა და მეთამბაქოეთა კავშირს სესხის სახით 2 მილიონი მანეთი როგორც თვის საავენტოსა, რომელიც შეისყიდის თამბაქოს საქართველოს რესპუბლიკის საჭიროებისათვის.

**შაქრის ფხვნილის მიღება.**

ინგლის-იაპონიის რწმუნებულისაგან მთავარ მომარაგების სამმართველომ წინადადება მიიღო დიდძალ შაქრის ფხვნილის 300000 ფუთზე მეტს მოწვდის შესახებ ძლიერ დაწეულ ფასებში.

**შაქრის შეძენა.**

მთავარ მომარაგების სამმართველომ უკვე დასდო ხელშეკრულება დიდძალ შაქრის მოწვდის შესახებ მცირე ფასებში ფუთი 370 მანეთში.

# დეპეშები.

(საქ. დეპ. სააგ).

**პეტროგრადი.** აგვის. 5. იამბურგის მიმართულებით მტერი დავამარცხეთ.

**სამარა.** აგვისტოს 4. პეტროპავლოვსკში ომსკის მთავრობასა და ჩეხელების შორის განხეთქილება მოხდა. ომსკის მთავრობას წითელი ჯარის მხარეზე ჩეხების გადასვლისა ეშინოდა. რის გამო საიდუმლო ბრძანება გამოსცა ჩეხელებისათვის იარაღის აყრის შესახებ. ჩეხელებმა ეს შეიტყვეს და იარაღი არ აიყარეს.

**№-ის არმიის შტაბი.** აგვის. 4. პსკოვის ჩრდილო-აღმოსავლეთით მტერი მოვიგერიეთ, სამხრეთით კი წინსვლას განვაგრძობთ და რამდენიმე სოფელი ავიღეთ.

**დასავლეთის ფრონტი.** ტბების რაიონში და ონეგის ტბაზე ჩვენ გემებს მტრის ჰიდროპლანებმა და ფლოტილიამ ყუმბარები დაუშინა. ჩვენ ბრძოლით პეტროზავოდსკიდან დავიხიეთ. ამავე დროს ჩვენმა ჯარმა პონევეჟის ყურესთან უკან დაიხია. კორელის რაიონში ჩვენმა ჯარმა ფინეთის საზღვარს მიაღწია. ნარვის მიმართულებით ჩვენი ჯარი მდ. ლუგის ხაზზე გამოვიდა. მინსკის რაიონში ჩვენმა ჯარმა რაკოვი დაიჭირა.

**სამხრეთის ფრონტი.** ეკატერინოსლავის მიმართულებით ვერხნე[illegible] ტოვეთ. პოლტავის მიმართ მისთვის [illegible]ლაა. კოლჩაკის მიმართ კლასი გაება

ვაის სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრძოლაა. ნოვოხოპერის და ბორისოგლების რაიონში ბრძოლაა. კამიშინის მიმართულებით ბრძოლაა.

**აღმოსავლეთის ფრონტი.** ურალის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევას განაგრძობს. ვერხნე ურალსკის რაიონში ჩვენ რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ჩელიაბინსკის რაიონში ჩვენი ჯარი მოწინააღმდეგეს ავიწროვებს. კამიშლოვის რაიონში ჩვენ ბრძოლით წინ წავიწიეთ.

**ნაუენი.** რუმინიის შეტევამ უნგრეთში დიდი აღშფოთება გამოიწვია და ბელაკუნის ავტორიტეტი გააძლიერა მუშებში, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ ის ნამდვილად იცავდა ბუდაპეშტს რუმინელებისაგან, რომლებიც ყველაზე უფრო საძულველ მტერს წარმოადგენენ უნგრეთის ხალხისთვის.

**ნაუენი.** აგვ. 5. უნგრეთის წითელ ჯარს ითხოვენ. რჩება მხოლოდ ბუდაპეშტი უნგრეთის ჯარის 4,000 კაცი და დანარჩენ უნგრეთში წესრიგის დასაცავად 20,000 კაცი, ახალი მთავრობა მოითხოვს, რომ ბუდაპეშტში მოკავშირეთა 5,000 ჯარისკაცი მოიწვიონ რუმინელების მიერ ძალდატანების შესაძლებლობის დროისთვის.

**ნაუენი.** აგვ. 5. უნგრეთის ახალი მთავრობის წევრებმა ითათბირეს თუ საბჭოთა წესწყობილებიდან რა უნდა გაუქმდეს დაუყონებლივ, რომ მარტამდე წესრიგი აღსდგეს. პირველი ზომა რომელსაც უნგრეთის მთავრობა მიიღებს, იქნება სახლების სოციალიზაციის დეკრეტის გაუქმება.

**ნაუენი,** აგვ. 5. სახალხო კომისრები ლანდვერი, ბელაკუნი და ვიგო ვენაში კონცენტრაციულ ბანაკში გაიგზავნენ. ისინი ტყვეებად არ ჩაითვლებიან. პაგანი და სხვა კომუნისტები, რომლებიც ვენაში მივიდნენ, გუშინ ბანაკებში მოათავსეს.

**კიევი,** აგვისტოს 4 ს. ც. ა. კომიტეტში წარმოთქმული ბელაკუნის სიტყვის ტექსტი მოვიდა, სადაც მან აღნიშნა, რომ პროლეტარიატის დიქტატურის რყევა კონტრრევოლიუციონერების მიმართ აიხსნება იმ კრიზისით აიხსნება წარმოების სიძნელით, კრიზისი წარმოდგა აგრეთვე ჩვენი სხვა და სხვა დაწესებულებების დარღვევით. პროლეტარიატის დიქტატურამ ექსპლოატატორებს შიშის ზარი უნდა დასცეს პროლეტარულ რევოლიუციის მტრებმა უნდა მოისპონ. უნდა დავიწყოთ გაბედული მოქმედება, იმის გამო, რომ კონტრრევოლიუციამ თავი წარმოყო. ჩვენ ძლიერ ლმობიერად ვეპყრობოდით ბურჟუაზიას, რომელიც თითქოს ჩვენს მხარეზე გადმოვიდა ჩვენ არ ვჭინდოდა მოხელეების და ოფიცრების გაბრაზება და ამის გამო შეიქმნა დღევანდელი ჩვენი ძალა უფლების კრიზისი. ამოქმედდა კონტრრევოლიუცია, რომელიც ეროვნული პრინციპებიდან გამოდის და რომლებიც უფრო საშიში არიან, ვიდრე სოციალშეთანხმებელნი.

**ნაუენი.** აგვ. 5. იუწყებიან, რომ რუმინიის 30,000 ჯარი ორშაბათს ბუდაპეშტში შევიდა, ყველა მაღაზიები დახურეს, ხელში ჩაიგდეს ტელეგრაფი და რკინის ლიანდაგი გადასჭრეს.

**ნაუენი,** აგვ. 5 საბჭოთა სისტემიდან ნამდვილი სოციალისტურზე გადასვლა უფრო ჩქარა ხდება, ვიდრე ამას მოელოდნენ. დღეს ახალ სამინისტროს შემადგენლობას გამოაქვეყნებენ; სამისტროში შედიან გლეხთა და ბურჟუების წარმომადგენლები კაბინეთის ყოფილი წევრი ერნესტ კარალი ბუდაპეშტის ქალაქის თავი კარფედილეი ეხლა ქალაქის კომენდანტად დაინიშნა.

**ლიონი,** აგვისტოს 5. საზავო კონფერენცია ჯერ კიდევ არ იცნობს ბელაკუნის მემკვიდრე რომ ეხლა მოქმედების საბოლოო გეგმა გამოიმუშავეს. ფიქრობენ მაინც, რომ მოკლე ხანში მდგომარეობა -მიუჩმიუ გამოირკვევა, რომ შესაძლებელი მელთხზვი მოლაპარაკების დაწყება. კაპიტალი ფუმირის ჯარის გადაჯგუფეს — კეთილ მეილიშვილობაა ბა საზავო კონფერენციას აფიქრებს. ცნობა მოვიდა რომ უნგრეთის ახალი მთავრობა, რომელიც სოციალისტურია, გლეხთა პარტიას და ბურჟუაზიას მინისტრების პორთფელებს სთავაზობს.

**პარიზი,** აგვ. 6. ჟენევიდან იუწყებიან რომ შვეიცარიის მუშათა კავშირის დელეგატთა ყრილობამ გადასწყვიტა საერთო გაფიცვები არ გამოაცხადოს. განაგრძნოს მოძრაობა, რეზოლიუცია სადაც მოუწოდებენ მცხოვრებლებს კომუნისტურ აგიტაციის წინაღმდეგ საბრძოლველად. ორშაბათს ქალაქში ცხენოსანი და ქვეითი პოლკები შევიდა. ზომები არის მიღებული ბანკების ფაბრიკების მთავარი ქუჩების და მოედნების დასაცავად.

**პარიზი, 6 კოლმევი.** აგვ. 6. „დეილიუმსი“-ი იუწყება რომ ირლანდიაში რევოლიუციონური მოძრაობა გაძლიერდა. დაარსდა მუშათა და გლეხთა საბჭოები. კონსერვატიულ და ლიბერალურ პარტიებმა მოითხოვეს მკაცრი ზომების მიღება.

## კონცერტი

**მუსიკალურ სასწავლებლის სასარგებლოთ.**

ოთხშაბათს, აგვისტოს 6, მუშათა კლუბში „ინტერნაციონალში“ გაიმართა კონცერტი მუსიკალურ სასწავლებლის სასარგებლოთ.

დიდი ხანი არ არის რაც დაარსდა ეს სასწავლებელი აქ და უკვე განიცადა სიმწვავე ქართული გულგრილობისა. დაპირებებზე უხვი ქართული აქაც გამოჩნდა: სასწავლებელს ყველა აღუთქვამდა დახმარებას ნამდვილად კი ღვთის ანაბარად იყო მიტოვებული.

სასწავლებელს ყავს 300 მოწაფე. სწავლის ფასი 200 მან. და ეს მცირეოდენი თანხა როგორ შეინახავდა სასწავლებელს მთელი ამ ხნის განმავლობაში. ბევრი ქაღალდი დაიწერა და გაიგზავნა განათლების სამინისტროში, დაპირდენ დახმარების აღმოჩენას, მაგრამ ჯერ დაპირება დაპირებადვე დარჩა. ოთხი თვეა მასწავლებლებს ჯამაგირი არ მიეღოთ.

ოთხშაბათს, სასწავლებლის სასარგებლოთ გაიმართა კონცერტი, ორ განყოფილებათ.

პირველ განყოფილებაში შედიოდა: სიმფონიური ორკესტრი, სიმღერა (დუეტი), სიმღერა (სოლო) ორკესტრითა და ხოროთი.

სიმფონიური ორკესტრი საზოგადო საკრებულოში უკრავს, და არა ერთხელ მოგვისმენია. აქ, კლუბში კი მოლოდინს გადააჭარბა: გასაოცარი იყო ფორტისიმოდან პიანისიმოზე გადასვლა, ან კიდევ თანდათანობითი კრეშჩენდოები და დიმინიენდო. დირიჟორობდა ბ-ნი რიბე. შეასრულეს მარში „ფორშ! ფორშ!“ და უვერტიურა „ღამე გრანადაში“. უკანასკნელი საკმაო სიძნელეს წარმოადგენს, როგორც ტეხნიკის მხრივ, ისე ნიუანსებიც მხრივაც. სიძნელე უთუოდ გადალახულად უნდა ჩაითვალოს. ორკესტრს მუშაობა ეტყობა და ისეთ გამოცდილი დირიჟორის ხელში, როგორიც რიბეა, სასურველ შედეგებს მიაღწევს.

დუეტი: ქ-ნნი რიბე და პრელაშვილი. აღსანიშნავია განსაკუთრებით „მხოლოდ შენ ერთს“ ქართული სიტყვებით რუბინშტეინის მუსიკა. ეს დუეტიც ნაცნობია როგორც სასწავლებლიდან ისე თეატრიდან. ორთავემ მხურვალე ტაში დაიმსახურეს. სოლო ხოროთი და ორკესტრით. ბალანჩივაძის მუსიკა. ამოღებულ იქნა ოპერა — „თამარ ცბიერიდან“ ცირას არია. თუმც ქ-ნი რიბემ ქართული არ იცის (გერმანელია) მაგრამ მუყაითი მუშაობით ქართული სიტყვები დაუძლევია. მეორე განყოფილებაში ზემოაღნიშნულთ მოემატა ქ-ნი ლარისა ქუთათელაძის ასული, რომელმაც დიდი ხელოვნებით შეასრულა რახმანინოვის ნაწარმოები, დისონანსებისაგან შემდგარი და შოპენის № 11 ვალსი.

ქ-ნნ პრელაშვილმა და რიბემ შეასრულეს რომანსები. უკანასკნელის გამოსვლას ბოლოს ოვაციებით ხვდებოდნენ. საზოგადოებამ ქ-ნნებს რიბეს, ქუთათელაძეს და პრელაშვილის ასულებს თაიგულები მიართვეს.

ორკესტრმა შეასრულა „ფაუსტი“ (გუნოს მუს.) და „ტანგეიზერი“ (ვაგნერის მუს.) სადაც ნათლად ალამაზდა ორკესტრის სიწმინდე, ნაწარმოების შეგნება, ტეხნიკა და დასრულებულად აღკვეთილი ნიუანსები.

**გერცოგი.**

## პატრიქეთის საზოგადება.

**ს. ტყაჩირი.**

იმედია, მკითხველი დაინტერესდება, მოხსენებულ ამის შეტყობით და უმეტეს ყურადღებას მიაქცევს სცენის მოყვარეთაგანს როგორც ეს ეხება. ერთ სცენის მოყვარეთა ჯგუფის რეჟისორის ს. ტყაჩირში სალამოს მოწყობის შესახებ.

მოგახსენებთ შემდეგს, ამ სოფელში დავით ჯენარაძის მეთაურობით, რომელიც თავს ტუდენტს უწოდებს მეტყველება კი სისულელის აქვთ, უნდა გამართულიყო სალამო შუა კვირკობისთვისთვის და დადგმულ უნდა ყოფილიყო პიესათ: „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“ და „რაც არ მერგება არ შემერგება“ შემდეგ სიმღერა სხვა და სხვა გასართობებით და ზურნით რასაც თვით აფიშებში ვკითხულობდით. ჩვენც სიმართლე გვეგონა როგორც უსწავლელს და კულტურას მოკლებულ მცხოვრებთ. რასაკვირველია თავისებურათ დაიწყო რეპეტიციების მზადება დამლევ ივანობისთვიდან, მაგრამ სამაგიეროდ პიესების შემზადებისა ბატონ სტუდენტმა ქალიშვილების უკეთ შემზადა და წარმოუთქმელია ის, სიმახინჯე, რა გარყვნილობასაც ის სჩადიოდა ორი კვირის ვადაში. მაგრამ კიდევ ენაკლულებოდა გული ქალიშვილებზე კოცნაში ისევ მოიფიქრა თავის გულში და საზოგადოება დაატყვილა სალამო კი შუა კვირკობისთვეს მოსაწყობი წარსულ კვირას გამართა, მაგრამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ბ. სტუდენტის საქციელმა ხალხზე. მასხარად გვიღებდა ყველაფერში: 1. ბილეთები გაყიდეს. საზოგადოება სალამოზე მოვიდა, მაგრამ სამაგიეროთ გართობისა ფეხზე დგომით დაწუხდა, რადგან მ. რეჟისორს სკამები არ ქონდა დასაჯდომად მაყურებლებისთვის. 2. სამაგიეროდ ზურნა უკრავდა, არღანი, რაც კინტოების საქმეა და არა კეთილშობილ ხალხის. 3. პიესის დაბოლოვებამდის. ბ. რეჟისორი სცენაზე არ შეგვიმჩნევია, ის მხოლოდ ქალებს ეარშიყებოდა სცენას გარეთ. 4. სამაგიეროთ სცენაზე სიმღერისა უფრო გვესმოდა, ბ. სტუდენტი ქალიშვილებთან ლაზღანდარობა და ცუდი მოქმედების ყურება. არ ვიცი რა ჰკუაზე იყო ჩვენი სტუდენტ რეჟისორი და რაზედ მიგვიწვია. საჭიროა უფრო მეტი სიფრთხილე, როცა სოფლებში წარმოდგენები იმართება, რომ იგი სამასხრო საქმედ არ მიაჩვენონ ხალხს.

**ტყაჩირელი.**

## წერილები რედაქციის მიმართ

ბატონ შორაპნის მაზრის ერობის თავმჯდომარეს.

ნება მიბოძეთ შეგეკითხოთ არის არა ნება დართული შორაპნის მაზრის ტელეფონის სოფლებში გაკეთება როგორც სხვა მაზრებში და და თუ არის ზეზი რა არის რომ ნუშაობა არ წარმოებს რადგანაც სხვა მაზრებში თითქმის ყველა სოფლის საზოგადოებაში ტელეგრაფი არსებობს და მუშაობა წარმოებს. სასურველია შორაპნის მაზრის მცხოვრებლებმა ამ ფრიად სიმპატიურ საქმეს ყურადღება მიაქციონ.

**ტრიფონ ლოლაძე.**

P. S. ვთხოვ სხვა გაზეთებს ამ წერილის გადაბეჭვდას.

---

ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ მცირე წერილს.

როგორც საზოგადოებას მოეხსენება შარშან შიმშილობის დროს ქუთაისის ვაჭარ-მრეწველებმა მსჯელობა იქონიეს შიმშილობისა და სიძვირის შესახებ და ხალხისათვის დახმარება, რომ აღმოეჩინათ გადასწყდა შეგროვებულიყო ფული ვაჭართა შორის სესხის სახით, რომლითაც უნდა გვეყიდა სიმინდი და ქუთაისში მოგვეტანა.

არჩეულ იქმნა სასურსათო კომისია რომელმაც სესხის სახით შეაგროვე სათანადო თანხა. კომისიაში მეც მოვხვდი სიმინდის სასყიდლათ კავკავში კომისიამ მე გამგზავნა, ჩემთან ერთად წამოვიდა აგრეთვე ბ. ალ. თაბაგარი. ფუთ სიმინდი ვაგონში დატვირთულს ვყიდულობდით 6 მანეთად და 30 კაპ. მაგრამ რადგანაც ჩვენი ნაყიდი სიმინდი სასურსათო კომიტეტების ხელში გადადიოდა მე ვაჭრობას თავი დავენებე და კავკავიდან ქუთაისში დავბრუნდი. კავკავში მხოლოდ ალ. თაბაგარი დარჩა.

როდესაც თაბაგარიც დაბრუნდა კავკავიდან მან ვაჭართა საბჭოს ანგარიშები წარუდგინა. ამ ანგარიშში ... რომ ვითომც 21 ფუთი სიმინდში ადგილობრივ 7 მანეთი და 80 კაპ. მიეცას. მე კი დანამდვილებით ვიცი რასაც დავამტკიცებ, რომ სიმინდში 6 მანეთსა და 30 კაპ. მეტი არ არის მიცემული.

მე ამის შესახებ ვაჭართა საბჭოში განცხადებაც შევიტანე. საბჭომ თავის მხრით პასუხი მოსთხოვა თაბაგარს, მაგრამ სამწუხაროდ საქმის დაბოლოვებას დღემდისაც ვერ ველირსეთ. დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ სესხათ აღებული ფულის ნაწილი ჯერაც არ მიუღია ვაჭრებს.

თაბაგარის მოქმედება კი გამოაშკარავებული და გამორკვეული უნდა იქნეს ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს მიერ რაც შეიძლება დაჩქარებით და მალე.

**ანტონ ილ. ხეცურიანი.**

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

## მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

**1919 წ. 1 ივლისიდან.**

**ქუთაისში მოდის.**

| | | |
|---|---|---|
| | **თბილისიდან.** | |
| პირდაპირი | № 3 | 5 ს. და 50 წ. დილით |
| ჩქარი | № 1 | 7 — 80 — — |
| საფოსტო | № 3 | 7 ს. — 40 — სადამ. |
| სამგზავრო | № 15 | 1 ს. — 50 — ღამით |
| | **ბათომიდან.** | |
| პირდაპირი | № 72 | 1 ს. და 30 წ. დღით |
| სამგზავრო | № 6 | 5 — — — დილ. |
| ჩქარი | № 2 | 1 — — 50 წ. ღამ. |
| | **ფოთიდან.** | |
| პირდაპირი | № 36 | 8 ს. და 28 წ. დილ. |
| საფოსტო | № 4 | 12 ს. — 55 წ. — |
| | **ტყიბულიდან.** | |
| სამგზავრო | № 81 | 10 ს. და 20 წ. დილ. |
| საფოსტო | № 3 | 5 ს. — 30 წ. სად. |

**ქუთაისიდან გადის.**

| | | |
|---|---|---|
| | **თბილისისაკენ.** | |
| პირდაპირი | № 12 | 11 ს. და 47 წ. სალამ. |
| ჩქარი | № 2 | 10 ს. და 2 წ. სალამ. |
| საფოსტო | № 4 | 10 ს. — 10 წ. დილ. |
| სამგზავრო | № 6 | 3 ს. — 17 წ. ღამით |
| | **ბათომისაკენ.** | |
| პირდაპირი | № 44 | 4 ს. და 40 წ. დღით |
| სამგზავრო | № 5 | 3 ს. — 30 წ. ღამით |
| ჩქარი | № 1 | 6 ს. — — წ. დილ. |
| | **ფოთისაკენ.** | |
| პირდაპირი | № 35 | 3 ს. და 25 წ. დღით |
| საფოსტო | № 3 | 5 ს. და 50 წ. დილ, |
| | **ტყიბულისაკენ.** | |
| საფოსტო | № 4 | 7 საათზე დილას. |
| სამგზავროს | № 82 | 4 ს. 4 წ. სალამოსი |

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.

ქუთაისი, სტამბა „ძმობა“, პუშკინი ს ქ№ჩ, სტამბა ძმ. ბერუჩაშვილებისა.